

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

02.09.2013 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს 2013 წლის 28 ივნისის №6/105 აუდიტის
ანგარიშში ცვლილების შეტანის შესახებ № ---7/105

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2013 წლის 9 ივლისის N0116/1677 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2013 წლის 30 ივლისის N2/35 გადაწყვეტილებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტს დაევალა, აუდიტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის გათვალისწინებით, 2013 წლის 28 ივნისის N 6/105 აუდიტის ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძვლების პირველი საკითხის შეფასების ნაწილში ცვლილების განხორციელება.

აუდიტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, 2013 წლის 28 ივნისის N 6/105 აუდიტის ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძვლების პირველი საკითხის შეფასების ნაწილში, შეფასება „საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ და არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს“ შეიცვალოს შეფასებით „სამინისტროს არაეფექტურ და არაჯეროვან საქმიანობაზე მიუთითებს“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების პირველი საკითხის შეფასების ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„ 1. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბუღალტრულ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას, სამუშაოების ფაქტობრივად დასრულების დროის დაუფიქსირებლობა და სათანადო მტკიცებულების არარსებობის პირობებში მიმწოდებელზე 13076,58 ლარის პირგასამტეხლოს დაურიცხაობა, სამინისტროს არაეფექტურ და არაჯეროვან საქმიანობაზე მიუთითებს.“

უფროსი აუდიტორი
ნადიმ ბოლქვაძე



თარიღი 02.09.2013წ.

აუდიტორ-ასისტენტი
გურანდა გვაზავა



თარიღი 02.09.2013წ.